


572 / 2
969 / 2



1969 ՊԵՆՏԱՆՅԱՆ

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ԳՐԱԴԱՐԱՆԻ ԿՈՄԻՏԵ





ნახატი ზურაბ კაპანაძისა


საქართველო გავახარო

ილიკა ჟივარდულიძე

რომ არავის ვატყმევინო:
შენ ქართველი არა ხარო,—
ღედა უნდა გავახარო,
მამა უნდა გავახარო!

განა მართლა პატარა ვარ!
აბა, მნახეთ გაის ამდროს!—
დიდი ბიჭი, დი-დი, დი-დი,
დი-დი უნდა გავიზარდო.

და მაშინაც რომ არა თქვან:
შენ ქართველი არა ხარო,—
მთავარია—საქართველო,
საქართველო გავახარო!





მეგობარი

ლილია კონი

ნახატი ზარბ ზორჩხიძისა

ვალოდია იმ დღეს ჩვეულებრივად დრე მივიდა გიმნაზიაში. კლასში ერთი ჟრიაბული იყო, ბავშვები სმამაღლა ღანანაკობდნენ, დარბოდნენ, იცინოდნენ... მხოლოდ ერთი ბიჭუნა იჯდა თავისთვის.

ვალოდის აქამდე არასოდეს ენახა იგი, მაგრამ ბიჭს ისეთი დადურემილი სანე ჰქონდა, რომ მისვდა,—ეს უთუოდ მიტია ანდრეევი იქნებო.

ვალოდის გუშინ მამამ უამბო მიტია ანდრეევის ამბავი:

მამამ მიტია კავკასიიდან ციმბირში

ჩამოიყვანა სსსწავლებლად, მეტე უბედურება დატრილდა—მამა მოკლადნულად გარდაიცვალა. მიტია შორეული ნათესავეების ამარა დარჩა. გუშინ დანასულავა მამა... დღეს პირველად მოვიდა გიმნაზიაში.

ვალოდის ძალიან შეეცოდა მიტია და გვერდით მიუჯდა:

— გიცი, დიდი მწუსარება გაქვს,— თანაგრძნობით უთხრა ვალოდისმ. კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მიტია აქვითინდა.

რე უნდა ეთქვა ვალოდისს,—ანეთ



დროს სიტყვით რას უშუალო კაცს...
 მაინც ბალიან უნდა, პირიანთის
 რაიმე კაპუტობინა.

— განდა, შენ ფანქრებს წვეწრს წა-
 ვუთლი!— უკებ შესაჯახ ვალოდაიპ.
 იგი უსმად იჯდა პირიანს გუწრდით,
 ცნობისმოყურე ბეჭეების მსურისხავან

იყარავე პირიანს და ფერად ფანქრებს
 გუმიდვიანედ უთლიდა წვეწრს.

პირია ცოტა დამშვიდა, მხიარული
 ბეჭეების დრინცვლით თბლად აღარ
 უწინობდა თავს— გუწრდით ხომ მეტო-
 ბარი ვალოდაი კვულებოდა.

საქართველო

აქაზი იმეჩიანი

- ქალაქში რა ამბებია?
- ცხელა, იწვის ჭვეწნიერება.
- მერე ის შენი ბიძაშვილები რას
 აცოფებენ, სარწყავი მანქანები?

— რაც შეუძლიათ მუშაობენ, მაგრამ,
 თუ წვიმა არ მოვიდა, მარტო ისინი
 ვერას გახლებიან. შენ ხომ არ შეგებე-
 დრია წვიმის ღრუბლები სადმე ახლოს?

- შეგებუნდენ, როგორ არა, კაცისი-
 ონზეც შემებუნდენ და აქეთაც, ლიბთან.
- რაო, საით მივდივართო?
- სიმართლე ვითხრა, არ მივითხვენს
 ისე კი, აქეთ უნდა ჰქონდეთ გზა.
- სეტყვა ხომ არ მოჰქონდათ?
- არა, ყარე გუნებაზე ჩანდნენ, წყნა-
 რად გურგურებდნენ და კოტროილობ-
 ნდნენ.
- ემა, დავაწყდა კი თვალები იმათ
 გზაზედა და...
- რას იზამ. ასეა ცხოვრება, ლენინ-
 გრალში კიდევ მზე ვნატრებათ.
- წვიმს?
- წვიმს კი არა, თოვლები წამო-
 ვიდა.
- რას შეუბნებნი!
- აბა!
- უკ, ერთი აქაც მოვიდოდეს მაღე!
- მოგვნატრა?
- მომგვნატრა რომელია აღარ შემძი-
 ლია, თავი მისკდება ხალმე დღისით.
 შენ რა, ახვალ და წახვალ!
- ყარგი ახლა, ნუ მოაყვეი წუწუნს.
 შო, შო.
- ამ დროს სამი კაცი გამოჩნდა. მათკენ
 მოდიოდნენ. მგობრები გაჩუქდნენ და
 ცდა დაიწყეს, როდის გაივლიდნენ ის
 კაცები...
- მგობრები კი ვინ იყვნენ, თუ მიზე-
 დით?
- ლენინგრაღიდან საღამოსანს მოფრე-
 ნილი ვეგმა თეთმფრინავი „ტუ-104“ და
 მისი ფრთის ქვეშ გაჩურგებული ბენზინ-
 შილი მანქანა.
- თეთმფრინავი დალოლი იყო, სთვლენ-
 მდა, მანქანა კი— მოწყენილი, ძალიან



ბ მ ი ჩ ი ლ ე ნ ი ნ ე ლ ე ზ ი


ლალ აბაძე

მოვდივართ ოქტომბრელები,
 ეს მთა და ბარი ჩვენია,
 თვალში ნათელი გვიბრწყინავს,
 ჩვენი გულებიც მღერიან.

მკერღზე გვინთია ვარსკვლავი
 პატარა გულისოდენა,—
 ის გვიანდერძა ლენინმა,
 ჩვენმა მამამ და მშობელმა.

ნახატი პირაზი კონიშვილისა

შევეჭიდებით დიდ საქმეს
 ჩვენი პატარა ხელებით
 და ვასახელებთ სამშობლოს
 ჩვენ, ნორჩი ლენინელები!





სიყვი და გგალი

ლევ გოლსოვი

ნახატი გივი ნარპანიანი

ციუცმა ხიდან ზეზე ზტუნაობაში პირდაპირ მძინარე მგლის ზურგზე მოადინა ზღართანნი. მგელი წამოხტა და შექმა მოუნდლომა. ციუცი შეეხვიე:

— გამიშვიო.

მგელმა უთხრა:

— კეთილი, გაგიშვებ, ოღონდ იმას თუ მეტყვი, რატომ ხართ ციუცები ასეთი მხიარულები. მე ერთთავად მოწყენილი ვარ, თქვენ კი სულ თამაშში და სტუნაობაში ხართო.

ციუცმა უპასუხა:

— ჯერ ხეზე ამიშვი და იქიდან გეტყვი, თორემ მეშინია შენიო.

მგელმა გაუშვა, ციუცი შეხტა ხეზე და იქიდან ჩამოსძახა:

— შენ იმიტომ ხარ მოწყენილი, რომ შურიანი ხარ. სიხარბე გითუთქავს გულს. ჩვენ კი ვმხიარულობთ, რადგან გულკეთილები ვართ და არც ვინმესი გვშურს რაიმე.

თარგმნა პალანგინა ძიძიძუაძე




მოწყენილი. ის საერთოდ უქმყოფილო იყო თავისი ცხოვრებით. აბა რა! ვერც თვითმფრინავივით აღიოდა ცაში ღრუბლებთან და ვარსკვლავებთან, და ვერც მსუბუქი მანქანებივით დასერილობდა ქალაქის ლამაზ-ლამაზ ქუჩებში (იქ მას ავტოინსპექტორები არ უშვებდნენ). რასაც ახლა უყვებოდა მეგობარს, ისიც კი იმ მანქანებისაგან ჰქონდა გავონილი, რომლებსაც ხანდახან გადაეყრებოდა ხოლმე აგროდრომთან. ასე იქნებოდა ხეალაც, ზეგაც, იმ კვირასაც, იმ

თვესაც. ეს აზრი სტანჯავდა და უნდოდა, სულ ელოპარაკა.

— გესმის? ყურს მიგდებ? იმ კაცებმა უკვე გაიარეს.

მის დაღლილ მეგობარს კი, ვება „ტუ-104“-ს, უკვე ჩასძინებოდა.

მაშინ ბენზინმზიდიც წაივია დასაძინებლად. მორჩილად გაჩერდა ბნელში, სხვა ბენზინმზიდების მოშორებით. მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაეძინა საბრალოს, შესტკეპროდა ვარსკვლავებით მოკვდილ ცას და ჩუმად, ჩუმად ტიროდა.



თინიკო და მზე

გაბრიელ ჯაბუბენაძე

დილით ადრე იღვიძებენ
თინიკო და მზე.
თინიკო რომ ხელ-პირს იბანს,
ხელ-პირს იბანს მზეც.
თინიკო რომ თმას ივარცხნის,
თმას ივარცხნის მზეც.
თინიკო რომ ისაუზმებს,
ისაუზმებს მზეც.
სკოლაში რომ მიდის თინა,
მზეც უმშვენებს გვერდს.
მაგრამ აი,
«დედა ენა»
ჯერ არა აქვს მზეს!

ნახატი პაპი თაყვაძისა



ბუტია

მერი გოლკვაძე

ნახატი ზურაბ მამბერიანიშვილისა

მაკას, მალხაზს და ზეინაბს ძროხებისა და ბოჩოლების ნახვა უნდოდათ და დეიდა თალიკოს ფერმაში წაჰყვენენ.

— აი, ჩვენი ძროხები! — თქვა თალიკომ, ფერმაში რომ მივიდნენ, — აი, ამას ნიშა ჰქვია, ამას — თეთრა, ამას — სანთელა, ამას — შვინდა, ამას — ლამაზა, ჭრელა, გიშერა... ყველა ჩამოთვალა, ბოლოს ერთ ძროხაზე თქვა: ამას «ბუტია» ჰქვიაო.

— ბუტია?!

— ბუტია?! ჰი-ჰი, ჰი-ჰი! — სიცილი აუტყდათ ბავშვებს. — რატომ ჰქვია ბუტია?

— იმიტომ რომ თუ ტკბილეული არ მიართვი, რამდენიც უნდა ეხვეწო, არ მოიწველის; დეიდა თალიკო მოსაწველად მიუჯდა, მაგრამ ერთი წვეთიც არ გამოუშვა ბუტიამ ცურიდან თავი გვერდზე გასწია და მუ-უო, — დაიწმულა.

— ხომ გითხარით! — გაიკინა თალიკომ, ადგა, ნატენი შაქარი ბირში ჩაუღო ბუტიას და მერე ისევ მოსაწველად მიუჯდა. ბუტიამ შაქარი გემრიელად შეახრამუნა და ვედროშიც დაიწყო მხიარული სიმღერა რძემ: — ჩხრ-ჩხრ, ჩხრ-ჩხრ!

— რა სასაცილო ძროხაა! — აუტყდათ სიცილი ბავშვებს.

— რა ეშველებოდა დეიდა თალიკოს, ყველა ძროხა რომ ბუტიასავით ბუტიაობდეს?

— აბა, აბა, რამდენი შაქარი უნდა ეზიდა ყოველდღე ფერმაში?!

— ნეტავ, შვილიც ბუტია ხომ არ ეყოლება ბუტიას?

— მეშინია, ისიც ბუტია არ გამოვიდეს! — იცინოდა დეიდა თალიკოც.





უცინაბა გუგულს

ანა ბაქალაძე

იყო და არა იყო რა... იყო ერთი კურდღელი და იყო ერთი ზღარბი. ბორცვს აქეთ კურდღელი ცხოვრობდა, ბორცვს იქით — ზღარბი. ერთ დღეს გზაში შეხვდნენ ერთმანეთს.

— მოდი, კენკრაზე წავიდეთ! — უთხრა ზღარბმა.

— წავიდეთ, — დაუთანხმა კურდღელი და კალათა მოარბენინა.

კალათა შუაში ჩაიდგეს, ერთმა აქეთ მოჰკიდა ხელი, მეორემ — იქით და გზას გაუდგნენ.

ტყეში კენკრა ბლომად იყო. კურდღელი დარბოდა და ეძებდა, ზღარბი კი კრეფდა და კრეფდა. კალათა ხელად ვაჟსეს.

— ასეა წავიდეთ! — თქვენს და გზას გაუდგნენ.

კალათა ისევე შუაში ჩაიდგეს, აქეთ კურდღელმა მოჰკიდა ხელი, იქით — ზღარბმა და

შინისაკენ გასწიეს. ბორცვს რომ მიუახლოვდნენ, ერთმა აქეთ გასწია კალათა, მეორემ იქით, აქეთ-იქით ეწეოდნენ, — არა შეუნდა წავილა, არა — მყო.

— გუ-გუ! — კურდღელი და ზღარბი ცეკვავენ! — თავზე დასმასოდან გუგული.

ზღარბსა და კურდღელს გუგულის სმარც ესმოდათ. ერთ გაწამაწიაში და მიძგილათაში იუფნენ: ერთი სომ ბორცვს აქეთ ცხოვრობდა, მეორე — ბორცვს იქით... და კალათას ექანებოდნენ, — არა ჩემკენ, არა ჩემკენო.

მანამ იმიძგილავეს, ვიდრე კალათა შუაზე არ გაგლიჯეს და ნადავლი სულერთიანად არ დაახნის.

— გუ-გუ! — დასმასოდან მათ ხიდან გუგული და სიცილით იგუდებოდა.

გზიანულნი

ზუკა

ჯანალ ბაკინიანი

ზოღაპარკში მიჰყავთ ტურა,
სხვა ტურაში შეშლიათ.
ტურა თვალებს ისე წყურავს,—
ნაღდად, ტყეში ერჩია.



ჭინჭრებს განაჭირი

ბიჭი ჭინჭრები

ხითხითებენ ფარდულის წინ
კალია და ბუბი:
— შეხე, სკამზე ჭრანჭრებს
ცხრაფება არ უბის!?

ზინიანი

ლელი ჭრანჭრები

გზა მომეცით
ყველამ, ყველამ,
მოვიმლო, მოვიმლო,
ჭერი-ჭერი,

ღუნქუნქუნი

გუჯან ღუნქუნი

ლელი ჭრანჭრები

— რა კარგია ჩემი ღუნქუნი,
სიამაყით ამბობს გუჯანი,
წყალსაც ვასმევ,
ქერსაც ვაჭმევ.
ვბადალებზე ყოველ დღით,
მაგრამ ვნატრობ, ნეტავ იცოს
ჩემი ღუნქუნი / დაჭედელი-



ქსკაჭკაჭორი

ალანი ხითხითი

ერთი შეხეთ, ერთი შეხეთ,
ამ ჩვენს ექსკავატორს!
დიდი კოვებით რასაც იღებს,—
ჯამში უსხამს ავტოს.



საფანავი

ნოზარ ქაქელიძე

ნახატი ზურაბ მამბარიანიძისა

დიდი თოვლი დაღო. ჩენს ეზოში ყველაფერი თოვლმა დაფარა,—სახბელი, სათონე, ერთადერთი შვინდის ზე, სათონესთან ფერდობზე რომ ატოტილიყო...

პაპამ ოთახში შეშა შემოიტანა. ლუმელთან დააწყო და ბებიას უთხრა:

— ფრჩხე წაფალ! საფანავებსაც ჩავუვლი, იქნებ რამე იყოს!

— მე, მე არ წამიყვანა?—შეფაჩერდი პაპას.

— დიდი გზაა. გზას კი, ფეხები უნდა.—ჩაიღიმა და ლუმელი გამოაღო.

მე ტახტიდან ჩამოვხტი და იატაკზე ბრახუნით გავიარ-გამოვიარე.

— აბა, ეს რა არის? აი, ფეხები!

— არ ივარგებს, მალე დაიღლება.—ისევ ჩაიღიმა პაპამ.

— აბა, შენ რა გესაქმება ტყეში, შვილო, გაცივდები!—დაუმატა ბებომაც.

მე პაპას ვადავხედე.

— არა უშავს რა!—ჩაიქნია პაპამ ხელი,—გუცაცია, რა ვაცივებს?

ბებომ თბილად ჩამიცვა, პაპამ თოფი გადაიკიდა და დავიძარიო.

გარეთ ლამაზად თოვდა. ბათურა ორღობეში კულის ქიკინით მოგვდევდა, ხანდახან ვადაგვისწერებდა, მიირბენ-მიირბენდა და მერე ისევ უკან მობრუნდებოდა სოლმე.

სოფელი ვავლიეთ და ტყე დაიწყო. ფეხქვეშ თოვლს ხრახინებში ვაჭქონდა. პაპა წინ მიდიოდა და თოვლს კვალავდა. მე უკან მივდევდი. დამცნა. სულს ძლივს ვითქვამდი.

— ზომ არ დაიღალე?—მომიბრუნდა პაპა.

— არაა!—ვიცრუე,—მე არა, მაგრამ ბათურამ კი გაღმოავდო ენა.

— მოვედით კიდევ! ახლა კი დავისვენოთ, ჯერ საფანავი ვნახოთ და მერე ფრჩხივ მოვავროვოთ!

პაპას სიტყვა არ დავმთავრებინა რომ...

— ვაიმე, პაპავ, მგელი!—წელზე შემოვექვდე.

— აბა, მგელი, შვილო?—დაფაცურდა პაპა.

— ავერ იქ... ავერ!..

— აბა, აბა?

— ავერ!—არც ვამხილავს, ისე ვავიშვირე ხელი.

პაპას სიცილი წასკდა.

— მაშ, ეს მგელია, ბიჭო?!—თქვა და მივხვდი, გუნება შეეცვალა.—მაშ, ეს მგელია!..

პაპას დაგებულ საფანავში, მგლის მავივრად, მართა ძალოს სახედარი გაბმულიყო.





დაჩის ზღვაზე

მგინა იოსელიანი

ნახატი ჯამალ ლოლუსანი

ერთ დღეს დაჩის დედა შინ არ იყო, მაგრამ იყო ბაჩო და მანო. კარგია, როცა ძმა არსად წასვლას არ აპირებს, თუ დაიაც შენთან იქნება, ხომ მთლად უკეთესი, მაგრამ... უდევლობა მაინც ძნელია.

— დაჩი ახლა მართლა დიდი ბიჭია,—თქვა მანომ.

— ვთქვავთ, დედა, მერე?—იკითხა ბაჩომ.

— იცია, დედა რომ შინ არაა, მაგრამ სულაც არ იტირებს.

— რატომ უნდა იტიროს, პატარა ხომ არაა!

ბაჩო როგორ იოლად ლაპარაკობს. დედა როცა შენთან არაა და არ ტირი, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ტირილი არ გინდა.

რა დიდი ბიჭიც არ უნდა იყო, ცოცხალ ვეფხვებსაც რომ იჭერდე, ძუძუმტეებად რომ ბოკვერები გაავდეს, ლომს რომ შენი შიშით გული უსკდებოდეს, უდევლობა მაინც ძნელია.

— დაჩი დედას არც კი დაუცდის, ისე დაძინებს,—თქვა მანომ.

— დრო რომ მოვა, დაიძინებს, აბა, ღამეს ხომ არ გაათევს,—თქვა ბაჩომ.

დედა თუ შინ არაა, დღე ხომ ძნელია, ღამითაც თუ არაა—ნამეტანი ძნელია და საქვეყნოდ განთქმული მონადირეც რომ იყო, თუ არ იტირე, არაფრით არ შეიძლება.

— დედა მინდა!—თქვა საღამოს დაჩიმ.

— აჰ!—მისიკენ არც კი მიიხედა მანომ.

— დედა მინდა!

— რა უნდა?!—გულმომსულად იკითხა ბაჩომ.

— არაფერი, არაფერი!—თავი გაიქნია მანომ.

რა ყურები დაეგვსო მანოს, დაჩიმ ორჯერ თქვა: დედა მინდაო და ვერც ერთხელ ვერ გაიგონა!

— ჰო,—მოაგონდა მანოს,—შეიძლება, დაძინება უნდა.

— თუ უნდა, დაიძინოს, უშლის ვინმე თუ: აგერ საწოლი!
— რა დედუბი აჩიან ეს ბაჩო და მანო, წიგნებსაც კიანთულობენ, სკოლაშიაც დედიან და ის კი არ იციან, რომ ღაზის დაძინება კი არა, დედა უნდა.

— ახლავე დავაწვენი, დამი!—დაპირდა მანო. ანება, ვინ ბებუნება, დამაწვიეთო!

— ჰო, ღრია, პატარებს უყვე სძინავთ.—წერება ბაჩო.

— მერე და, დამი რა პატარა ნახა. თუ დედა გინდა და ტარილი ქვეყანას გარჩენია, მაშინ— დედი ხარო, თუ უკვლავ უწინ უნდა დავაწვიონ, მაშინ—პატარა ხარო.

— წვიადეთ, დამი!
— არ მინდა!

— არ მინდაო!—გულშოსულად იტიბო ბაჩო.

— არა, ეს კი არ უბებებს, როგორ არ უნდა... მგვამ უკერ კიდევ ადრე ზომი არ არისო.

— არაფერი ადრე არაა, ახლავე დაწვეს!— წერება ბაჩო.

— წამოდი, დამი!—უფავებს მანო.

ბაჩოს სულ ვერაფერს გააგებინებს კაცი, ისევ მანოსთან უბობია.

— დედა მინდა!—თქვა დამამ, ლოგინში რომ ჩაწვი.

— რად გინდა დედა, მე აქ არა ვარ!

— დედა მინდა!

— არ გინდა დედა, მე აგერ საწოლზე ჩამოვუჯუეი, ბაჩოც აქვია.

ამ მანოს დღეს არაფერი არ ვუბრება, დამამ უფრო არ იცის, დედა უნდა თუ არ უნდა?

მინდა!
— ჰო, ვიცი, რაც გინდა,—როგორც იქნა... მიხედა მანო,—ზღაპარი გინდა.

— ზღაპარი არ მინდა!

— როგორ, ზღაპარი არ გინდა?—კინდამ გაღიარა მანო—კაციშვილი არ გამიგონია, ზღაპარი რომ არ უნდოდეს!

— არ მინდა!

— ეს რა შიბხარი! აღნათ, შენ არც კი იცი, ზღაპარი რაა.

— ვიცი.

— რომ იყოფი, როგორ შეიძლება თქვა, ზღაპარი არ მინდაო.

— დედა მინდა.

— დედა რად გინდა, რაცა ზღაპარს გიყვე ბან. ზღაპარში უველაფერია დედაც, მამაც.

დაც, ძმაც, მეცაც, შევეცი.—მანამ ხმა დაიბოხა,—ცეხები, ლომი,—მერე ხმა სულ გაიწვირა,—ისეთი ურღარევი ზატებიც, ყურებით რომ ვერ გაძლები.

დაჩის გულუც კი დიწუდა, რომ ზღაპარი არ უნდოდა.

— დედიკო და ზღაპარი მინდა.

— ამა, მიხვდები!—სიხარულით წამოიძახა დეიამ,—დედიკოს ზღაპარი გინდა! კარგი,—მანო ადგა და ნათურის ღილაკს მიწვდა.

— არ ჩაქრო!

— როგორ თუ არ ჩაქრო, ზღაპარის მოყოლა სინათლესი სად გავიწვია.

ჩამოხსნულდა, მგვამ დაჩის ხომ არაფრის არ ეშინია, მანო მანინ ხსთთმალთან დაუჯდა და დაიწყო!

გატარებლბა იქნება

კ კ გ მ ტ ზ ნ ე ჯ შ ი

ქ მონათხილ

ფისო იჯდა ყორზე, ფისო თვალბზარწია, უკუქროდა ბიჭების ჩხუბს და გაწამაწიას. ბიჭოს! ეს რა არის? უცხად ეს რა მოხდა? დაარტყეს და... ბურთი ფისოს თავში მოხვდა! ატყდა ერთი ჩოჩქოლი, ყვირილი და ბაქანნი,— ფისოშიმ მიწაზე მოაღინა ბრავგანნი.

— ეჭმი და წამალი!— ყვირის ჰრელი მამალი. მოზაჯბაჯდა იხვი, მოტყაპუნდა ბატო, ცუტვამ თავში შემოიკრა ბანუჯგელიანი თათი. მიამოდა ზუდა წყალი, გააბზიდა ფისომ თვალი.

ჩააყლია პიტნის წვეთი, არც დასჭირდა ამის მუტო.



გადაგორდა ჰრელი ბურთი. გაიპარა, როგორც ქრედი მოიფხანა ცუტვამ კვება, შეუღერინა, შეუყვებო. ლინორად გაქარა თათი, მიუშვედა იხვი, ბატო, უნისკარტეს, ჩაქოლეს, აგორეს და აგორეს. ატყდა ერთი ბათქაბუთიქო— შავ დღეშია ჰრელი ბურთი... აქეთ—იხვი, იქით—ცუტვა,— ბუმ! და... ბურთი დაიფუტა. გამომდგენენ ცუტვარის მარბაბი და წყერი. გარბის, გაჩბის, გაჩბის ცუტვა, აფეფნა ფისო უკან. ძმობილის უბრბა—ნუ გაქვს შიში, დაგიშავოთ აგერ ზეინში...— ვერ იპოვნეს ბიჭუნებმა ზურც ცუტვარი და ვერც ფისო, ამობილებმა ჩაიციენეს: „ამა ძმისთვოსო— შავ დღისთვოსო!“

ნახატი ანანა რარასანი

ყოჩივარის საუფროსო



ჩემი პირველი
— გუშინ ორი კბილი მომძვრა,
პულარა ვცამ, ისე მტკივა;
— მაშინ ვაშლი მე მომეცა,
მე ხომ შენი ძმობილი ვარ;
— ვერა, ვერა, ჩემო კარგო,
შეგვამ, როცა ამომივა.

ერთი ბუჩქის ძირს ეოჩივარდასწირს-
ფერ ვეჯილს მოედგობინა ეელი. თავი
მოსწონდა, რომ ჯერ თოვლი ექვლგან არ
აღო და ვნმელასაც კი დასწრო. თვალის
განსილა, მიხედ-მოხედდა. მარტო თხილს
განვეთებინა საუფროები და ჩიტისთავა მოი-
წვედა მიწიდან ზევით.

— არა, უნდა ვაჯობო ვეჯლს.— თქვა
გულში. საჩქაროდ გრძელ ეუნწი. კოლოფი
გაიკეთა, კოლოფში კი ჰაწანინა თესლებმა
იწვეს მომწიფება.

სად იყო, სად არა, იმ ბუჩქთან, სადაც
ეოჩივარდა იყო, ევჯი ჩამოფრინდა, მოდა
და ლუკას ემება. ბუჩქის ძირს ეოჩივარ-
დას კოლოფი დაინახა და ნისკარტლადებუ-
ლი მისკენ გაეშურა.

ეოჩივარდამ დაინახა, შიშისგან გაა-
ქრეობა და კინაღამ გული გაუსკდა.

კოლოფის გრძელი ეუნწი დასწვია, და-
სწვია და დაამოკლა, ისე დაამოკლა, რომ
კოლოფი მიწაში ჩაიგანა და გულში ჩაი-
სუტა. მოეგანხაღდა ევჯი ბუჩქთან და გა-
შემდა,— სადღაა, რასაც ელოდა! ვაბრასე-
ბულმა ვაჭკურ ფრწილი ძემვის ბუჩქის დე-
როს. ფრწილი კი ძემვის ევალს ზედ შერ-
ხა. დაინახულა და ფრთების ლახლახნით
ტეისკენ მოუსვია...

ეოჩივარდა კი სიცილით იგუდებოდა,
უნაროდა რომ კოლოფი გადაარჩინა. ძემვის
ევალზე შერჩენილი ფრწილი ჩამოიღო და
ტვერდით მოიღო იმისათვის, რომ სსვა
დროსაც არ დაეწეებოდა კოლოფის მიწა-
ში დროზე ჩამარსვა.

ამიტომაც, რომ ზოგან ეოჩივარდას ევა-
ვისფრწილას უწოდებენ.





რძი ქუნდი

ბრიზოლ ჩიხაიხვილი

ნახატი ლიმიჯრი ზარაფიხვილინა

ორი ძუნწი შეხვდა ერთმანეთს და ერთად განაგრძეს გზა.

ჰყვებოდნენ მთისას და ბარისას და გზაც ნელ-ნელა ილეოდა. სათქმელიც გამოელიათ და შიმშილმაც შეაწუხათ. აბგები საგზლით ჰქონდათ სავსე, მაგრამ გულში ორივე ასე ფიქრობდა: მე რად უნდა გავშალო პირველად სუფრა? ერთიც ვნახოთ, და იმის აბგაში ნამცეცი არაფერი იყოს, მერე?.. არა, არა. საგზალი ჩემთვის მაქვს წამოღებული, სხვას ერთ ლუქმასაც ვერ ვარგებ, თუნდაც სული გავარდესო.

ასე, ერთმანეთის ყურებაში, შიმშილით კუჭი ეწვოდათ, მაგრამ აბგებს მაინც არ უხსნიდნენ პირს.

ბოლოს, შიმშილმა ისე დააუძლურა ორივე, — არაქათი აღარ ჰქონდათ, ძლივსლა მიათრევდნენ ფეხებს, სული კბილით ეჭირათ...

როგორც იქნა, გახვდა ერთმა და თქვა: — ვიცი, აბგა სავსე გაქვს, რატომ არა ხსნი თავს?

— შენი აბგაც ხომ სავსეა! — უთხრა მეორემ.

— ჰოდა, რალად ვიკლავთ თავს შიმშილით? გავშალოთ ჩვენ-ჩვენთვის სუფრა და მოვსულიერდეთ.

დასხდნენ, აკანკალებული ხელგებით ძლივს მოხსნეს აბგებს თავი, მაგრამ თქვენს მტერს, რაც იმათ შიგნახეს — საკმელი მთლად დაობებულიყო.

სუჯჩინი

საქართველო



იციან ბავშვები:
ვაჯობეთო ამაყ სპილოს,
სპილო არის ათი ფუთი,
ჩვენ კი - თითო-თითო კილო.



ნახატი მ. ბალოგონისა





ნახატები ლ. კარგაშვილისი






რა განსხვავებაა ამ ნახატებს შორის?




ნახატები ნაგალინ ბგულისძეისი

გადახერა შოა და კვილი, კველგან ჩაღის, შოიარა ტბა შრავალი, შარგვეკა და სწრაფშავალი.



ნახატები ა. სპრონიისა



შარგვეკა ზედატორი შუნიან შხაშაბაიანი.

საქართველოს კომუნისტური პარტია ქვეყნის მთელი ტერიტორიაზე, ლეილა მერაბი, ჯიხუა ლოლუა, მამიალა ჩიბურდიაშვილი, უკაალ ნინია, იორაჲ მინდრაძე (ი.გ. შიღვი), შალვა მხარაძე (სამხატვრო აქადემიის), შიმი მხარაძე.

საქართველოს ადგილობრივი კომიტეტების და ვ. ი. დე ნანის სახელობის შორეული მიწების ორგანიზაციის ტრენინგული სახელოსნოს უფროსი, დამოუკიდებელი ტექნიკატორი ბ. ბონინიშვილი

ჩუბინიშვილი მამიალა ტყეშელაშვილი ქ. 14 ტელფონები 33-93-60, 33-94-73 | რედაქციის მისამართი მსაღვრის ავტობუსის დაბრუნებისას

დასაყვანილი 30x11-68 წ. საბჭოთაო დანამტად 6/1-69 წ. ტელფონი 50x80მ. ფსიკური ნახტვი უფრული 2,5

ფუნ. 16 4271 ტრავა 136 000. საქ. კ. ც.ს. გამოქვეყნების სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 16 14. ფაილ 20 კა.

«ქილა» № 2, რუსიანოში აზიკე. ტიპოგრაფია ილი-ილი. ЦК КП Грузии, უკ. ლენინი, 14.

საქ. კ. ც.ს. გამოქვეყნების. Издательство ЦК КП Грузии



რაკეტა—ნახატი ლევან დოგრაშვილისა, 8 წლის. მაიაკოვსკი.
 მზიანი დღე—ნახატი შორენა ტეხაშვილისა, 6 წლის. თბილისი.
 სარეცხი გაშრა—ნახატი ზაზა ახმდუშვილისა, 6 წლის. წინანდალი.
 მე და ჩემი და—ნახატი ნანა ბაღდავაძისა, 9 წლის. თბილისი.
 ავტოპორტრეტი—ნახატი პაატა ლვხვიანიძისა, 9 წლის. თბილისი.

